სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080120980225523

№ 1421 05 / მაისი / 2023 წ.

შპს „გზის“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 5 აპრილს წარმოდგენილ იქნა შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) 2023 წლის 4 აპრილის №01/10-97 (რეგისტრაციის №3012), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. მიმწოდებელმა 2023 წლის 2 და 3 მაისს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 2 მაისის № 01/10-137 და № 01/10-138 დაზუსტებული მომართვები (რეგისტრაციის № 3744 და № 3752), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2023 წლის 2 მაისის № 1539 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-6 მუხლისმე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე არაუადრეს ორი და არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, მიმწოდებელს უფლება აქვს, წარადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ვადის დარღვევით, მას შესაძლოა არ გაუგრძელდეს რეგისტრაციის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მისი მომართვა ჩაითვლება თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად, რომელიც განიხილება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

შპს „გზის“ (ს/ნ: 245525132) მომართვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა 2023 წლის 5 აპრილს, ხოლო მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 94-ე მუხლის პირველი და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილების გათვალისწინებით, ამოიწურა 2023 წლის 1 მაისს. შესაბამისად, სააგენტომ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მიმწოდებლის მომართვა ჩათვალა თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „გზა“ (ს/ნ: 245525132) 2023 წლის 8 მაისს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.